ამ პრინციპულ გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXV სესიამ ერთხმად მიიღო ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების კომპლექსური პროგრამა. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ყველა წევრი ქვეყნის კოლექტიური მეცადინეობით შემუშავებული კომპლექსური პროგრამა გათვალისწინებულია ეტაპობრივი რეალიზაციისათვის 15-20 წლის მანძილზე.

ახალ ამოცანებსა და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის შეაბამის მეთოდებსა და ფორმებს, რომლებიც კონკრეტულად აისახა კომპლექსურ პროგრამაში, საფუძველად უდევს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის 20 წელზე მეტი ხნის გამოცდილება, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების, სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმების კოორდინაციის გამოცდილება.

თავიანთი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით, თანამშრომლობის განვითარებასთან საკუთარ ღონისძიებათა შეხამების საფუძველზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრმა ქვეყნებმა ამ ხნის მანძილზე დიდი წარმატებები მოიპოვეს სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიური ცხოვრების ყველა სფეროში. სამრეწველო წარმოება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებში 1970 წელს 1950 წელთან შედარებით თითქმის 6,8-ჯერ გადიდდა, მაშინ როცა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებში მხოლოდ 2,8-ჯერ გაიზარდა. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შედეგად შეიქმნა მრეწველობის ბევრი ახალი დარგი, აშენდა ასობით დიდი სამეურნეო ობიექტი. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებს შორის საქონელბრუნვა უკანასკნელ 20 წლის მანძილზე 7-ჯერ და უფრო მეტად გადიდდა; შექმნილია საიმედო წანამძღვრები იმისათვის, რომ მიმდინარე ხუთწლეულში იგი კიდევ თითქმის ორი მესამედით გაიზარდოს. ხორციელდება მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევებისა და მოწინავე საწარმოო გამოცდილების ფართო გაზიარება.

წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების განვითარებაში, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს საქმიანობის მთელი პრაქტიკა ადასტურებს იმ დიდ შესაძლებლობებს, რომლებსაც შეიცავს სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილება, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილება, ადასტურებენ სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთობლივი მოქმედების დიდ ეფექტანობას, იმას, რომ მათ უნარი შესწევთ კოლექტიურად გამოსნონ რთულ ამოცანათა ყველაზე მიზანშეწონილი გადაწყვეტილებანი, რომლებიც ხელს უწყობენ მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერების განმტკიცებას.

ამ წარმატებებმა დაადასტურეს, რაოდენ აქტიურ როლს ასრულებს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო, როგორც ახალი ტიპის ეკონომიური თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს თანასწორუფლებიანი, სუვერენული სოციალისტური სახელმწიფოების ღონისძიებებს. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მთელ მუშაობას საფუძვლად უდევს სოციალისტური ინტერნაციონალიზმის, სახელმწიფო სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ეროვნული ინტერესების პატივისცემის, ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის, სრული თანასწორუფლებიანობისა და ნებაყოფლობის, ურთიერთსარგებლობისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების პრინციპები. სოციალისტურ ინტეგრაციას არ ახლავს ზეეროვნულ ორგანოთა შექმნა. სწორედ ამ პრინციპებით იხელმძღვანელებენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები აგრეთვე თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების პროცესში, შეასრულებენ რა სესიაზე მიღებულ კომპლექსურ პროგრამას.

სესიის მონაწილენი ითვალისწინებენ, რომ ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის გაღრმავება და სრულყოფა და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარება წარმოადგენს შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების, მათ ეკონომიკათა დაახლოებისა და ეროვნულ მეურნეობათა თანამედროვე, მაღალეფექტიანი სტრუქტურის შექმნის, მათი ეკონომიური განვითარების დონის მუდმივი დაახლოებისა და გაწონასწორების, ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის ძირითად დარგებში ღრმა და მყარი კავშირურთიერთობის ჩამოყალიბების, ამ საფუძველზე ამ ქვეყნების საერთაშორისო ბაზრის გაფართოებისა და განმტკიცების, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სრულყოფის პროცესს, რომელსაც შეგნებულად და გეგმაზომიერად წარმართავენ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების კომუნისტური და მუშათა პარტიები და მთავრობები.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომუნისტური და მუშათა პარტიები, მთავრობები აღრმავებენ და აუმჯობესებენ თანამშრომლობას და ავითარებენ სოციალისტურ ეკონომიურ ინტეგრაციას იმ მიზნით, რომ რაც შეიძლება წარმატებით გადაწყვიტონ თავიანთი ქვეყნების უზნეშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიური ამოცანები, კიდევ უფრო განავითარონ საწარმოო ძალები, მიაღწიონ უმაღლეს მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს, გაუმჯობესონ ხალხის კეთილდღეობა, განამტკიცონ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თავდაცვისუნარიანობა.

მიიღო რა კომპლექსური პროგრამა, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიას მიაჩნია, რომ მისი რეალიზაცია საფუძველად უნდა დაედოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის სისტემის შემდგომ გეგმაზომიერ სრულყოფას. პროგრამაში განსაზღვრულია თანამშრომლობის იმ ღონისძიებათა განხორციელების კონკრეტული გზები და ვადები, რომლებიც დაკავშირებულია ყველაზე დიდი ეკონომიური პრობლემების, კერძოდ, ისეთი პრობლემების გადაჭრასთან, როგორიც არის სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა სათბობით და ნედლეულით, ტექნიკურად სრულყოფილი მოწყობილობით, აგრეთვე სამრეწველო და სასურსათო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება.

სესიის მონაწილენი დარწმუნებული არიან, რომ კომპლექსური პრობლემის რეალიზაცია ხელს შეუწყობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების ეროვნული ეკონომიკების განმტკიცებას და მათ მჭიდრო ურთიერთმოქმედებას, მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ეკონომიური ძლიერების ამაღლებას. ეს კიდევ უფრო განამტკიცებს მოძმე სოციალისტური ქვეყნების პოლიტიკურ ერთიანობასა და შეკავშირებას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციებისათვის ძირის გამოთხრის პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში, საზოგადოებრივ ცხოვრების ყველა დარგში კაპიტალიზმზე ახალი წყობილების უპირატესობისათვის, მსოფლიოში სოციალიზმის პრესტიჟისა და გავლენის გადიდებისათვის, მთელი ანტიიმპერიალისტური ფრონტის განმტკიცებისათვის ბრძოლაში.

სესიის მონაწილეებმა ერთსულოვნად დაადასტურეს თავიანთი ქვეყნების სრული მზადყოფნა განახორციელონ ყველა საჭირო ორგანიზაციული, ეკონომიური და სამართლებრივი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ კომპლექსური პროგრამის ეფექტიან შესრულებას. ისინი ემყარებიან იმას, რომ კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა რეალიზაციის, გამოცდილების შეძენის კვალობაზე და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის გაღრმავებითა და სრულყოფით, სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის განვითარების ახალ მოთხოვნილებათა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით კომპლექსური პროგრამა შეივსება და დაზუსტდება საბჭოს სესიათა დადგენილებებით, აგრეთვე დაკონკრეტდება შესაბამის შეთანხმებათა დადების გზით.

სესია აცხადებს, რომ კომპლექსური პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებაში მოლიანად ან ნაწილობრივ მონაწილეობის მიღება შეუძლია ყოველ ქვეყანას, თუნდაც არ იყოს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები შემდეგშიც განავითარებენ ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ თანამშრომლობას დანარჩენ სოციალისტურ ქვეყნებთან. ისინი კვლავაც განავითარებენ ეკონომიურ და მეცნიერულ-ტექნიკურ კავშირურთიერთობას განვითარებად ქვეყნებთან და განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოებთან მშვიდობიანი თანაარსებობის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთსარგებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემის პრინციპების საფუძველზე.

ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფის და სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამა პრესაში უახლოეს დღეებში გამოქვეყნდება.

სესიაზე განიხილეს აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტის მოხსენება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს XXIV და XXV სესიებს შორის მისი ორგანოების საქმიანობის შესახებ. ამ პერიოდის მანძილზე ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრ ქვეყნებსა და საბჭოს ორგანოებში განხორციელდა დიდი და ნაყოფიერი მუშაობა კომპლექსური პროგრამის პროექტის მოსამზადებლად. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნები და საბჭოს ორგანოები კომპლექსური პროგრამის შემუშავების დროს შეუდგნენ იმ ბევრი ღონისძიების პრაქტიკულ განხორციელებას, რომლებსაც პროგრამა შეიცავს.

სესიამ მოიწონა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საქმიანობა საბჭოს XXIV და XXV სესიებს შორის პერიოდში.

სესიამ საგეგმო საქმიანობის დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავების და სრულყოფის, მასში ცენტრალური საგეგმო ორგანოების ეფექტიანი მონაწილეობის მიზნით შექმნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომიტეტი საგეგმო საქმიანობის დარგში თანამშრომლობის საკითხებზე.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და სრულყოფისათვის სესიამ გადააკეთა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს სამეცნიერო და ტექნიკური კვლევის კოორდინაციის მუდმივი კომისია მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს კომიტეტად.

გაითვალისწინა რა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების შემდგომი მრავალმხრივი თანამშრომლობის მოთხოვნები კავშირგაბმულობის დარგში, სესიამ შექმნა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ელექტრო და საფოსტო კავშირგაბმულობის მუდმივი კომისია.

საბჭოს XXV სესიის მუშაობა მიმდინარეობდა მეგობრობისა და ამხანაგური თანამშრომლობის სულისკვეთებით. (საკდესი).

გულისწყრომა, აღშფოთება

სუდანში დაპატიმრებანი გრძელდება

ხართუმი. 30 ივლისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ალ-აიამი“ იუწყება, სუდანში დაპატიმრეს კიდევ 7 ოფიცერი ბრიგადის გენერლის ა. მოჰამედ ოსმანის მეთაურობით.

დაპატიმრებული არიან აგრეთვე სუდანის მუშათა პროფკავშირის ფედერაციის თავმჯდომარე ავადალა იბრაგიმი, სუდანის ახალგაზრდობის კავშირის თავმჯდომარე ჰალილ ილიასი და მთელი რიგი სხვა პირები.

□ **პარიზი.** მხეცური რეპრესიები სუდანში საფრანგეთის საზოგადოებრიობის ფართო წრეების აღშფოთებას იწვევს. სუდანის დემოკრატიული ძალების აწოკებას გადაჭრით გმობენ უდიდესი მემარცხენე პარტიები, პროფკავშირები, ქალთა, ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მასობრივი ორგანიზაციები, რომლებიც მოითხოვენ დაუყოვნებლივ მოეღოს ბოლო რეპრესიებს, მასობრივ დაპატიმრებებსა და სიკვდილით დასჯას.

სოციალისტური პარტიის სახელით მისმა გენერალურმა მდივანმა ფრანსუა მიტერანმა დიდი აღშფოთება გამოთქვა სუდანში რეპრესიების გამო.

□ **რომი.** მთელ იტალიაში მატულობს გულისწყრომა სუდანის ტრაგიკული ამბების გამო. ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში, ქარხნებსა და ფაბრიკებში გაიმართა მიტინგები, რომლებზეც შეკრებილებმა მოითხოვეს ბოლო მოეღოს სისხლიან რეპრესიებს სუდანელი კომუნისტების წინააღმდეგ.

ბოლონიაში გამართულ ხალხმრავალ მიტინგზე გამოსვლისას იტალიის კომუნისტური პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ჯან კარლო პაიეტამ განაცხადა, რომ იტალიელი კომუნისტები დიდად წუხან სუდანელი კომუნისტების დაღუპვის გამო, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლის საქმეს, იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ არაბი ხალხების ბრძოლის საქმეს.

□ **დელი.** სუდანის ამბები ინდოეთის მთელი დემოკრატიული და თავისუფლებისმოყვარე ძალების დიდ შეშფოთებას იწვევს, ნათქვამია აქ გამოქვეყნებულ ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური სამდივნოს განცხადებაში.

ქვეყანაში მძვინვარებს სისხლიანი ტერორი. იგი მიმართულია სუდანელი პატრიოტების — დემოკრატებისა და კომუნისტების წინააღმდეგ. ანტიკომუნიზმში, „კუდიანებზე ნაღიარობა“, ხაზგასმულია განცხადებაში, სერიოზულ ზიანს მიაყენებს სუდანის დამოუკიდებლობას, მის ეკონომიურ პროგრესს.

□ **ნიკოზია.** კვიპროსის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა — სრულიად კვიპროსის მუშათა ორგანიზაციამ, კვიპროსის საყოველთაო გლეხთა კავშირმა და კვიპროსის ახალგაზრდათა ერთიანმა დემოკრატიულმა ორგანიზაციამ სუდანის ხელმძღვანელებს გაუგზავნეს დეპეშები, რომლებშიც მტკიცე პროტესტს აცხადებენ სუდანელ დემოკრატთა დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ, მოითხოვენ დაპატიმრებულთა განთავისუფლებას.

გაზეთი „ჰარაგი“ წერს: „კვიპროსელი ხალხი მოითხოვს შეწყდეს სუდანელ პატრიოტთა ხოცვა-ჟლეტა. ისეთი დანაშაული, როგორიცაა სუდანის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამდელ ჰალეკ მაჰჯუბის სიკვდილით დასჯა, მძიმე ლახვარს სცემს არაბთა ერთიანობას და მთა ბრძოლას იმპერიალიზმის წინააღმდეგ“.

ეშინოდეს რევანშისტებს!

ბათუმი. 30 ივლისი. (საკდესი). ქართველ მუშათა ერთიანი ვახსნა სუდანელ კომუნისტთა და სხვა პატიმარ პატრიოტთა მასობრივმა დაპატიმრებამ, სიკვდილით დასჯამ აჰარულ მშრომელთა გულისწყრომა და აღშფოთება გამოიწვია.

სამრეწველო საწარმოებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ავტონომიური რესპუბლიკის დაწესებულებებში გაიმართა ხალხმრავალი საპროტესტო მიტინგები იმ უმძიმეს დანაშაულთა წინააღმდეგ, რომლებსაც სუდანის ხელისუფალნი სჩადიან.

ბათუმის ი. გ. სტალინის სახელობის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის მუშათა ერთიანი ვახსნა ბათუმის „კომკავშირელის“ თანამედროვე გ. დარჩიამ.

მიტინგზე გამოვიდნენ ინჟინერი ლ. ქურიძე, უფროსი ოპერატორი ტ. ნულაძე, ელექტრომემუნაცემელი ა. ბრენცევი და სხვები, რომლებმაც მტკიცედ მოითხოვეს ბოლო მოეღოს სისხლიან ტერორს სუდანში.

მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც გადაჭრით მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყდეს რეპრესიები სუდანელ კომუნისტთა და სხვა პატრიოტთა წინააღმდეგ.

ქართველ მეტალურგთა პროტესტი

რუსთავი. 30 ივლისი. (საკდესი). სუდანელი კომუნისტებისა და სხვა პატრიოტების დევნის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგი გაიმართა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში.

„900“ საგლინავი დგანის მეგალცავმა ა. ხეცურიანმა თქვა:

— სუდანელმა ხელისუფლებმა ტერორის, მასობრივი რეპრესიებისა და ხოცვა-ჟლეტვის სისხლიანი კამპანია გააჩაღეს. მათი მსხვერპლი გახდნენ სუდანელი ხალხის საუკეთესო შვილები. ეს საბჭოთა ადამიანების, მსოფლიოს ყველა პატიოსანი ადამიანის გულისწყრომასა და აღშფოთებას იწვევს. სუდანის ტრაგიკული ამბები ხელს აძლევს იმპერიალისტებს.

მას მხარი დაუჭირა საკონტროლო-საზომ ხელსაწყოთა ელექტროზეინკალმა ი. ძინძიბაძემ.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელიც შეიცავს პროტესტს სუდანის ხელისუფალთა დანაშაულებრივი მოქმედების წინააღმდეგ.

ᲛᲝᲡᲝᲕᲚᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲠᲝᲛᲘ — ᲩᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ

30 ივლისი. (საკდესი). იტალიისა და საბჭოთა კავშირის საქონელბრუნვა 1965-დან 1970 წლამდე 174 მილიარდი ლირიდან 368 მილიარდ ლირამდე გაიზარდა, წერს დღეს გაზეთი „პაეზე სერა“.

ამჟამად, განაგრძობს გაზეთი, ჩინებული პერსპექტივებია სსრ კავშირთან ვაჭრობის შემდგომი განვითარებისათვის. გაზეთისათვის მიეცემული ინტერვიუში იტალიის საგარეო ვაჭრობის მინისტრმა მარიო

დაკი ფინიშიც!..

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზები რსფსრ-ის, მოსკოვის, უკრაინის, ბელორუსიისა და ლენინგრადის გუნდებმა მოიპოვეს

მოსკოვი. 30 ივლისი. (ტელეფონით „კომუნისტის“ სპეც. კორ.). უკანასკნელი აკორდი — ასე შეგვძლია ვუწოდოთ სპარტაკიადის იმ სახეობათა დასკვნითს ასპარეზობებს, რომლებსაც ფინიში გუშინ საღამოს ჰქონდა. ასეთი კი სულ 8 იყო. მაგრამ სანამ შეავუდგებოდეთ საუბარს სპარტაკიადის საბოლოო შედეგებზე, ქულებზე, ადგილებზე, გავავლებდეთ ერთგვარ პარალელს განვლილ და ეს-ეს არის დამთავრებულ სპარტაკიადებს შორის, ვილაპარაკებდეთ ზოგიერთ დეტალზე, საჭიროა ვიცოდეთ, თუ რით დამთავრდა უკანასკნელი შესვედრები, როგორ განაწილდა მედლების კომპლექტები, ვინ რამდენი ქულა შესძინა თავის კოლექტივს და ამან რა გავლენა იქონია გუნდის სატურნირო მდგომარეობაზე.

დავიწყოთ ხპორტული თამაშებით —ხელბურთით, წყალბურთით და ფრენბურთით; ხელბურთი — ეს ის სახეობაა, რომელიც წელს პირველად იქნა შეტანილი სპარტაკიადის პროგრამაში. საბოლოოდ სატურნირო მდგომარეობის დასადგენად, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბოლო მატჩებს ქალთა გუნდებს შორის. აზერბაიჯანელებმა დაამარცხეს მოსკოვის გუნდი — 12:11; სომხებმა — ლენინგრადელები — 18:17, მოლდაველებმა — ყაზახეთის გუნდი — 20:15, ბელორუსებმა — რსფსრ-ის ნაკრები — 10:9. უზბეკებმა — საქართველოს გუნდი — 15:12. ხოლო ლიტვისა და უკრაინის ნაკრებთა შესვედრა დამთავრდა ფრედ 14:14. საბოლოოდ უკრაინელები სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ და თავიანთ გუნდს 24 ქულა მოუტანეს. აზერბაიჯანელებმა და ლიტველებმა თანმიმდევრულად მეორე და მესამე ადგილი დაიკავეს. რაც შეეხება საქართველოს გუნდს, იგი 8 უძლიერესთა შორის ვერ მოხვდა და ჩასათვლელი ქულები ვერ მოგვცა. ვაჟთა გუნდის ტურნირში, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა დამარცხება განიცადეს რსფსრ-ის კოლექტივთან 14:16, საბოლოოდ მაინც მეოთხე ადგილი დაიკავეს 10 ქულით. ჩემპიონი კი გახდა მოსკოვის ნაკრები, რომელმაც სლია ლიტგის გუნდს 33:23. ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ხვდათ უკრაინისა და რსფსრ-ის ხელბურთელებს.

ზედიზედ უკანასკნელმა დამარცხებებმა საქართველოს წყალბურთელთა გუნდის სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად შეცვალა. ჩვენი წყალბურთელები, რომლებმაც წაგაგეს ბოლო მატჩი მოსკოვთან 3:8, მეექვსე ადგილზე აღმოჩნდნენ. სპრინზო ადგილები კი თანმიმდევრულად ასე განაწილდა: უკრაინა, მოსკოვი, ყაზახეთი.

რა მოხდა ფრენბურთელთა ბადესთან? საქართველოს ქალთა გუნდმა მოუგო ლატვიელებს — 3:1. ვაჟებმა კი წაგაგეს მატჩი ბელორუსებთან — 1:3. ჩვენი ქალთა ნაკრები მეცხრე ადგილზეა, ვაჟები მეთორმეტეზე და არც ერთ მათგანს ჩასათვლელი ქულები არ მოუცია. სპრინზო ადგილები ქალებში გაინაწილეს მოსკოვის, ლენინგრადისა და უკრაინის კოლექტივებმა, ვაჟებში — რსფსრ-ის, მოსკოვისა და ყაზახეთის ფრენბურთელთა კოლექტივებმა.

ცისფერ ბილიკებზე ბრძოლები მიწყნარდა. მოცურავეებმა დაამთავრეს ასპარეზობა. უკანასკნელ დღეს განაწილდა მედლების ექვსი კომპლექტი. 400 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში სპარტაკიადის ჩემპიონი სსრ კავშირის ახალი რეკორდით (4 წუთი და 45,9 წამი) გახდა მოსკოველი ნ. სუხოვცევა. 200 მეტრზე ბრასის სტილით ცურვაში ყველას აჯობა ნ. პანკინმა (მოსკოვი). ქალთა შორის — გ. სტეპანოვამ (მოსკოვი). ამავე დისტანციაზე ბატერფლაის სტილით ცურვაში ქალთა და ვაჟთათვის წარმატება კვლავ მოსკოველ სპორტსმენებს ხვდათ. ესენი იყვნენ: ვ. ტუტაევა და ვ. შარიგინი. ამ უკანასკნელმა სპარტაკიადაზე ახალი რეკორდი დაამყარა. ყურადღების ცენტრში იყო 1500 მეტრზე მარათონული ცურვა ვაჟთათვის თავისუფალი სტილით. აქაც წარმატება მოსკოველს, ა. დუნაევს ხვდა. გამარჯვებულს მხოლოდ 4 მეათედი წამით ჩამორჩა და ვერცხლის პრიზიორი გახდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ი. ლისეცკი. როგორც ხედავთ, ფინალის დიდ უმრავლესობაში წარმატება მოსკოველებს ხვდათ და საერთო გუნდური პირველი ადგილი ცურვაში 453 ქულით მათ დაიკავეს. საქართველოს მოცურავეები 56 ქულით მეოთხე ადგილზე არიან.

დაამთავრეს სპორტული დავა წყალში მხტომელებმა. აქ 8 უძლიერესთა შორის ჩვენს წარმომადგენელს ვერ ვხედავდით. ტრამპლინიდან ხტომაში ქალთათვის სამივე სპრინზო ადგილი მოსკოველებმა დაიკავეს. ესენი იყვნენ თ. საფონოვა, ა. ბაკალინოვა და ე. ანთონინა. კოშკიდან ხტომაში ვაჟთა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა სომხეთის წარმომადგენელი ხ. ქოჩარიანი, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებს თანმიმდევრულად დაეუფლნენ ვ. ნარიშკინი (რსფსრ) და ვ. ტოშჩენკო (ყაზახეთი). ექვსი დღის ასპარეზობის შემდეგ გუნდურ შეჯიბრებაში წარმატება მოსკოველებს ხვდათ, რომლებმაც ყველაზე მეტი — 75 ქულა მოაგროვეს.

უკანასკნელი სიტყვა დინამოს სასროლეთზე ეკუთვნოდათ ნებისმიერი მცირეკალიბრიანი პისტოლეტით 50 მეტრზე მსროლელებს. აქ წარმატებით გამოვიდა რსფსრ-ის გუნდის სპორტსმენი გ. ზაპოლსკიხი, რომელმაც 600-დან 570 ქულა შეაგროვა, სპარტაკიადის ახალი რეკორდი დაამყარა და ოქროს მედალი მოიპოვა. ჩვენმა მსროლელმა მ. პაპავამ მეოთხე ადგილი დაიკავა. სროლაში წარმატება რსფსრ-ის გუნდს ხვდა, საქართველოს ნაკრებმა მეშვიდე ადგილი დაიკავა.

საფარიკაო ბილიკებზე ფინიში ჰქონდათ „შუმკეტერებს“. შედგა გუნდური დასკვნითი შეხვედრები დაშნით ბრძოლაში. საქართველოს გუნდმა დაამარცხა ტაჯიკეთის მოფარიკავეთა კოლექტივი 9:7 და მეშვიდე ადგილზე გამოვიდა. ჩემპიონობა კი უკრაინელებს ხვდათ, რომლებმაც მოუგეს ბელორუსიის გუნდს 7:3. საერთო გუნდურ ასპარეზობაში ყველაზე მეტი ქულა — 128 მოაგროვეს რსფსრ-ის მოფარიკავეებმა, ბელორუსიის გუნდი 118 ქულით მეორე იყო, საქართველოს გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა — 28 ქულა.

რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი მაყურებელი პყავდა სპორტის სასახლეს, სადაც გაიმართა ფინალური შეხვედრები კრივში. შეიძლება ითქვას ყველა ორთაბრძოლა შეუპოვარი გამოდგა. აი ვინ გახდა ჩემპიონი: 48 კილოგრამამდე წონაში ა. სემიონოვი (რსფსრ), 51 კილოგრამამდე — დ. ტოროსიანი (სომხეთი), 54 კილოგრამამდე — ვ. ორლოვი (რსფსრ), 57 კილოგრამამდე — ბ. კუზნეცოვი (რსფსრ), 60 კილოგრამამდე ო. გუროვი (ყაზახეთი), 73,5 კილოგრამამდე — ხ. კაზარიანი (სომხეთი), 67 კილოგრამამდე — ა. ხოხლოვი (მოსკოვი), 71 კილოგრამამდე — ა. შეპილოვი (რსფსრ), 75 კილოგრამამდე — გ. რისკიევი (უზბეკეთი), 81 კილოგრამამდე — ნ. ანფიმოვი (უზბეკეთი), 81 კილოგრამაზე ზევით —კ. საროიანი (სომხეთი). ყველაზე მეტი ქულა აღმოაჩნდათ რსფსრ-ის მოკრივეებს — 93,5 მომდევნო ორი ადგილი ხვდათ მოსკოვისა და სომხეთის მოკრივეთა გუნდებს. საქართველოს გუნდი 7,5 ქულით მეთექვსმეტე ადგილზე აღმოჩნდა.

აქ ჩვენ დავასახელეთ უკანასკნელი ფინალები და მათი შედეგები.

მაგ ასე, სპორტსმენთა დიდი ფორუმი ამოიწურა, სპარტაკიადამ მეტად მნიშვნელოვანი მასალები მოგვცა. მისი შედეგები უთუოდ ფიზკულტურული საზოგადოებების ფართო ფენის მსჯელობის საგანი გახდება. ამასთანავე მომავალი სპარტაკიადის მზადებას აქვე ჩაეყრება საფუძველი.

ვ. გაბელია.

სპარტაკიადის საბოლოო ცხრილი

1. რსფსრ — 2.503 ქულა
2. მოსკოვი — 2.293,5
3. უკრაინა — 1.956
4. ბელორუსია — 1.062,5
5. ლენინგრადი — 970
6. საქართველო — 801,5
7. ყაზახეთი — 577
8. ლატვია — 477,5
9. ესტონეთი — 353,5
10. ლიტვა — 340
11. უზბეკეთი — 256,5
12. სომხეთი — 255,5
13. აზერბაიჯანი — 249,5
14. მოლდაველთი — 201,5
15. ყირგიზეთი — 163
16. ტაჯიკეთი — 60
17. თურმენეთი — 30 ქულა.

ზაფხული თბილისში

თბილისში ცხელა. ივლისის მზე აიძულებს თბილისელებს თავშესაფარი პარკებსა და სკვერებში ეძებონ.

ამ დღეებში ბევრი ხალხია თბილისის ზღვაზე, ლისის ტბასა და კუს ტბაზე.

საქდესის ფოტოკორესპონდენტმა მ. დათიკაშვილმა ეს სურათი ლისის ტბაზე გადაიღო მაშინ, როდესაც პატარა მეთევზე ანკესით თევზის დაჭერას ცდილობდა.

მხატვარმა იგორ სოკოლოვმა სპარტაკიადის მსვლელობის დროს არაერთი ჩანახატი გააკეთა. მისი მეგობრული შარჟები ქვეყნდებოდა „ოზვესტიასა“ და „კრასნაია ზვეზდაში“. ი. სოკოლოვის ნახატების გმირები სპარტაკიადის გმირები გახლდათ. დღეს ვაქვეყნებთ მხატვრის ამ ნამუშევრებს, რომლებიც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებს — ჩემპიონებს მიეძღვნა. ზემოდან — კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეა სპარტაკიადის პირველი ჩემპიონი ლუბოვ ასატუროვა; სამი სპარტაკიადის გამარჯვებული მოჭიდავე რომან რურუა; სპარტაკიადის დებიუტანტი მოჭიდავე გურამ ბოგოლაური; „ოქროს ნიჩბები“ — ზურაბ ხოფერია და ნოდარ ჩარაევი; ავეირან მატკავა და ვიქტორ კრატასიუკი.

„საქართველოს აგიტატორი“ № 14

გამოვიდა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეთოთხმეტე ნომერი.

ᲬᲧᲐᲚᲡ ᲜᲣ ᲒᲐᲣᲗᲐᲛᲐᲛᲓᲔᲑᲘᲗ!

დასვენება — უბედურების ᲗᲘᲖᲔᲖᲘ?!

ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲖᲦᲕᲐᲖᲔ, ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲖᲔ

ჩვენმა დედაქალაქმა უკანასკნელ წლებში საგრძნობლად იცვალა სახე და იერი, გალამაზდა, გამშვენდა. განსაკუთრებით ბევრი შეიმატა თბილისს დასასვენებელი ობიექტები. ახლა ჩვენს ქალაქში ცოტა როდინი აღგილი, სადაც არა მარტო ჩრდილით, ლამაზი ხეივნითა თუ ყვავილნარით შეგიძლია დატკბე, არამედ ზაფხულის ცხელ დღეებში შეიძლება იბანაო კიდეც. მარტო თბილისის ზღვა რად ღირს. დასასვენებელ ადგილებად იქცა აგრეთვე კუს ტბა, ლისის ტბა.

როცა ბანაობაზე ვლაპარაკობთ, სხვა ფაქტორებთან ერთად უწინარეს ყოვლისა ვგულისხმობთ უსაფრთხოების წესების დაცვას. მართლაც, ამჟამად ბევრგან მიღებულია გადამჭრელი ღონისძიებები იმისათვის, რომ მობანავე გაფრთხილდეს და თავიდან იქნას აცილებული უბედური შემთხვევა. თბილისის ზღვის, კუს და ლისის ტბების პლაჟებზე, დაარსებულია მაშველი საგურავი, საცურავ ადგილებში გაკეთებულია ნიშანსვეტები, რომელთა იქით ბანაობა აკრძალულია. ყოველივე ამის მიუხედავად ზაფხულობით ბანაობის სეზონში უბედური შემთხვევა მაინც ხდება.

საკითხავია, თუ უსაფრთხოების ყველა პირობაა დაცული, განსაკუთრებით თბილისის ზღვაზე და მდინარე მტკვარზე რატომ ხდება უბედური შემთხვევები?

ფლევანდელი ზაფხული მეტად ცხელია. კაცს სულის მოთქმა უჭირს. ბუნებრივია ბევრი ხალხი ეტანება თბილისის ზღვას. ზღვის ლურჯ ტალღებს სერავენ კატარღები, მოტორიანი და ნიჩბიანი ნავები, თბომავლები, რომლებიც ეკუთვნით ფყალჯმარდობის სადგურს, თბილისის საქალაქო ტრანსპორტის სამმართველოს, თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკს. დამსვენებლებს შეუძლიათ დაიქირავონ მოტორიანი ან ნიჩბიანი ნავები და ისეირნონ ლურჯად მოლივლივე ზღვაზე.

ოციოდე წელი არ არის, რაც ადამიანმა აქ ხრიოკ ადგილზე შექმნა ეს ფყალსაცავი, რომელსაც თბილისის ზღვა ეწოდა. გაშენდა ტყეპარკი, მოეწყო. გზები, გაჩირაღდნა ელექტროლამპიონები, აშენდა საზოგადოებრივი კვების ობიექტები... ერთი სიტყვით, უდაბნო ბაღნარად გადაიქცა. ადამიანს ხიბლავს ბუნების ეს სიმშვენიერე, მაგრამ ამასთან რა დასამალავია, რომ ამ სილამაზეს ჯერ კიდევ ადამიანის მზრუნველი ხელი აკლია.

თბილისის ზღვას ორი —თვითეული კილომეტრნახევრიანი პლაჟი აქვს, რომელსაც მთელი შტატი ემსახურება, დაწყებული პლაჟის დირექტორით, გათავებული მენავით. ორივე პლაჟი მოუვლელია. ამოსულია სარეველა ბალახები, ზოგიერთი დამსვენებელი, სადაც ჭამს, იქ ყრის ნარჩენებს, ამტვრევს ბოთლებს. არ არის გამაგრილებელი წყლის კიოსკები, ნაყინი. პლაჟებს შორის მანძილი შვიდი კილომეტრია და აქვს მხოლოდ ერთი საპირფარეშო, რომელსაც დეზინფექციას არ უკეთებენ და არც ჩამრეცხავი წყალია. ვერც გარდერობის კეთილმოწყობით დაიკვეხნიან თბილისის ზღვის მეხვეურები. ორიოდე ფიცრული სრულებით ვერ აკმაყოფილებს დამსვენებელთა მინიმალურ მოთხოვნილებებს. ამჟამად მუშაობაა გაჩაღებული კაპიტალური კეთილმოწყობილი გასახდელების ასაშენებლად, რომელსაც ტრესტ ინკომშენის მეთოხე სამმართველო (უფროსი თ. ებრალიძე) აწარმოებს. სამუშაოები მომავალი წლის ბოლოს დამთავრდება.

ზღვაზე ბანაობის უსაფრთხოებას სპეციალური წესები აქვს. ამის მიხედვით არის შედგენილი თბილისის საქალაქო საბჭოს მიერ გამოცემული დღემდე მოქმედი „წყალზე უბედურ შემთხვევათა გაფრთხილების“ წესები. თუ დავიცავთ ზემოაღნიშნულ წესებში გათვალისწინებულ ყველა პუნქტსა და პარაგრაფს, მაშინ ზღვაზე არ უნდა მოხდეს უბედური შემთხვევა, მაგრამ... თბილისის ზღვაში ამ ზაფხულს შვიდი კაცი დაიხრჩო.

თბილისის ზღვის გარშემოწერილობა ოც კილომეტრამდეა. ბუნებრივია, რომ ყველა ადგილი საბანაოდ არ გამოდგება, რადგან ჩახრამულია, ციცაბოა, ზოგან წყლის სიღრმე ნაპირზეკი იწყება. არც იქ შეიძლება ბანაობა, სადაც კატარღების მისადგომია. ამ ადგილებში ნიშნებია, რომლებსაც ქართულ და რუსულ ენებზე აწერია: „ბანაობა აკრძალულია!“ მაგრამ ზოგიერთი მოქალაქე გამაფრთხილებელ ნიშანს ყურადღებას არ აქცევს და მაინც აკრძალულ ადგილებში ჩაღის წყალში, რაც, შეიძლება სიცოცხლის ფასად დაუჯდეს. თბილისის ზღვის მაშველი სადგურის მუშაკები უწლიან წესრიგის ამ დამოწმებებს, მაგრამ ზოგიერთი მოქალაქე არც წესსა და კანონს ემორჩილება, არც ადამიანს.

არსებობს დადგენილი წესი, რომ ზღვაში შემოსაზღვრული ზონის იქით ცურვა აკრძალულია. ეს ზონა 20 მეტრს არ უნდა აღემატებოდეს, გამაფრთხილებელი ნიშნებით — ტივტივებით უნდა იყოს მონიშნული. თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკის ხელმძღვანელებს ამისათვის უზრუნიათ, ბევრ ადგილზე არის გამაფრთხილებელი ტივტივები, მაგრამ ისინი საკმარისი როდია. ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ტივტივა დაზიანდა, ყურადღებას არ აქცევენ და კაცი არ არის, რომ შეაკეთოს.

ის ორგანიზაციები, რომლებიც სადგურის თანამშრომელმა ნიკოლოზ არაბულმა და რუმბიეთი გაბერილი ცოცხალმკვდარი ნ. ამირეჯიბი ნაპირზე ძლივს გამოიყვანა.

როგორც იტყვიან, ბეწვზე გადარჩა ადამიანის სიცოცხლე!

განსაკუთრებით ბევრი ხალხი იყრის თავს შაბათს და კვირას. მრავალი მათგანი თავიანთ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს, ბანაობს აკრძალულ ზონაში, ზოგიერთი ნახევამიც კი ჩადის წყალში, არ ემორჩილებიან მაშველი სამსახურის სადგურის თანამშრომლებს, რომლებიც წესრიგისაკენ მიუთითებენ. არიან ისეთებიც, რომლებმაც ცურვა არ იციან და მანქანის საბურავის კამერით ბანაობენ.

კვირას მოსწავლე, 15 წლის თემურ ალექსანდრეს-ძე გაგოვი თბილისის ზღვაში დაიხრჩო. მან ცურვა არ იცოდა, მაგრამ მაინც ჩავიდა აკრძალულ ზონაში. აქ წყალი ღრმა იყო და უკან გამობრუნება ვეღარ მოახერხა. დამხრჩვალი იმწუთასვე ნახეს, მაგრამ ვერავითარი პირველადი დახმარების აღმოჩენამ ვერ უშველა...

ამ დღეს თბილისის ზღვის მაშველი სადგურის მუშაკებმა რვა კაცი გადაარჩინეს დახრჩობას, მათ შორის თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის მუშა ვ. შუკოვანი, კალინინის ქ. № 87-ში მცხოვრები ი. გურამიშვილი, მოსწავლე ა. ხელაძე და სხვები. მათ რომ უსაფრთხოების წესები დაეცვათ, არც თავიანთ თავს ჩაგდებდნენ საფრთხეში და არც სხვებს.

მტკვარზე ბანაობა აკრძალულია. მაგრამ ნახეთ მდინარის ნაპირებზე ბევრი ბავშვი, ზოგიერთი ბანაობს. ეს ბავშვები ეფსახურებიან, მოვალენი არიან ნავების სრულ წესრიგში იქონიონ. ნავის უნდა ჰქონდეთ ნომრები, წარწერები — „ნავებიდან ხტომა, ბანაობა აკრძალულია!“ არა აქვს. არც მაშველი საშუალებები, როგორიც არის რგოლები და ქამრები. ნავებში წყალი შედის. ყოველივე ეს უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევაა. ამიტომ წელს თბილისის ზღვის მაშველმა სადგურმა თბილისის ზღვის კულტურისა და დასვენების პარკის ხელმძღვანელობას მთლიანად აუკრძალა ნავების გაქირავება.

პლაჟზე დასალევი წყალი არ არის. ამიტომ ზოგიერთი სულწასული დამსვენებელი შუა ზღვაში შედის ბოთლით სასმელი წყლის გამოსასტანად. ასე მოიქცა შაბათს ნიკოლოზ ტარასის-ძე ამირეჯიბი. მან შუა ზღვამდე კი მიაღწია, მაგრამ უკან დაბრუნება ვერ მოახერხა. უამრავი წყალი ყლაპა და ის-ის იყო ზღვის ფსკერისკენ უნდა დაშვებულიყო, რომ ამ დროს ძლივს მიუსწრო მაშველი სადგურის ნაბიჯებიანი ნავი. ეს ნავი ბოლო ასპარეზობის შემდეგ გუნდურ შეჯიბრებაში წარმატება მოსკოველებს ხვდათ, რომლებმაც ყველაზე მეტი — 75 ქულა მოაგროვეს.